



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი ვლადიმერ ივანეს ძე

კახიანი ვლადიმერ ივანეს ძე (20. VII. 1905, ქუთაისი, – 30. VIII. 1966, თბილისი), ბიბლიოგრაფი, სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1930). 1931–45 მუშაობდა მთ. ბიბლიოგრაფად საქართვ. სახელმწ. საჯარო ბ-კაში, სადაც ხელმძღვანელობდა სამეცნ. ბიბლიოგრაფიის განყ-ბას; იმავდროულად (1932– 38) მოღვაწეობდა პირველი „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ რედაქციაში. კ. ავტორია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და თეორ. ბიბლიოგრაფიის დარგებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა. გარდა ამისა, ვრცელი მეცნ. ანოტაციებით გამოსცა ბიბლიოგრაფია „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ (1937). კ. ავტორია ასეთივე ნაშრომისა „ქართველი მოაზროვნეები. უძველესი დროიდან 1921 წლამდე“ (თანაავტ.: ნ. რეხვიაშვილი, კ. კახიანი). 1941 გამოქვეყნდა კ-ის მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია „უცხოელები საქართველოს შესახებ“ («ბიბლიოგრაფიის მოამბე», №2–3). 1945–49 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის მეცნიერი მუშაკი, სადაც მოამზადა ნაშრომი „სამკურნალო წიგნის ადგილი ქართული მედიცინის ისტორიაში“ (1949). იქვე მონაწილეობდა „ქართლის ცხოვრებისა“ და ბერძნ.-ქართ. დოკუმენტური ლექსიკონისათვის მასალების მოძიებაში. 1953–56 კ. მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, სადაც მისი თანაავტორობით დაიბეჭდა „1921–56 წლებში მუზეუმის მიერ გამოცემული კრებულების, შრომების და სტატიების ბიბლიოგრაფია“ (1957). კ-ის სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია თემატური ბიბლიოგრაფიები საქართველოს ისტორიიდან (რედ. ნ. ბერძენიშვილი).

თხზ.: ანოტაციის საგნის საკითხისათვის, «საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები», 1938, ტ. 4; ნარკვევ-თხრობითი ანოტაცია, «ბიბლიოგრაფიის მოამბე», 1940, №1; ბიბლიოთეკათმეცნიერების ცალკეულ დისციპლინათა, მისი საერთო

სისტემის და ორგანიული წყობის საკითხისათვის, იქვე, 1941, №2-3.

ნ. გიოშვილი
